№ 18 იანვარი 24, პარასკევი. 1886 იანვარი 23, პარასკევი № 18

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

ქართული თეატრი

ბენეფისი

მ. მ. საფაროვისა

კვირას, 26 იანვარს ქართული დრამატიულის დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ბედნიერი დილა

კომედია 3 მოქმედ. რუს. ნათარ. თ—შვილისა

II

2-რე და 3-მე სცენა ხუთ მოქმ. შექსპირის დრამიდამ

ჰამლეტი

III

პრიკაზჩიკის დუელი

ანუ

ქალი სამხედრო ტანისამოსში

ვოდევილი 1 მოქ., გადმოკ. ა. ა—სა

ფასი საბენეფისო.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ

(3—1)

შეცდომის გასწორება. **გუშინდელ ნომრის «დამაკვირდი»-ში პირველ სტრიქონში სწერია: «ქვეყანაში, რომ კაცი, სახელოვნად გამოსული». ამის მაგიერ უნდა იყოს: «რომ კაცი ქვეყანაში სახელოვნად გამოსული» და სხ.**

ტფილისი, 24 იანვარს

«მეთერთმეტე საუკუნის დასასრულს გიორგია—ამბობს ვახუშტი,—იყო ოხერ თვინიერ ციხეთაგან, მთათა და კლდეთა; არა იყო კაცი, რამეთუ წარჩინებულნიცა ქამად-ქამად იყვნენ წინაშე მეფისა; ხოლო სადგური იყო მეფისა წალვლის თავი, არამედ სიმრავლე ნადირთა ესეოდენი იყო, რამეთუ ოდესცა ენება მეფესა მონადირება ნაჭარმაგევისა, ანუ სხვათა წარავლინიან მაფრთხეთ მხედარნი და შემდგომად თვით მოინადირის».

ესე აოხრებული, უკაცური, ნგრეულ-უშენი იყო საქართველო. ჰგავდა იგი ხესა უფოთლოსა, უმწვანოსა, დონე-მიხდილსა, ტოტებ-ძირ-დაშვებულსა და სიცოცხლე მოკლებულსა, მიდამო იყო «ტიალ და გაოხრებულ». ამისთანა დროს საქართველოს სამეფო ტახტზედ ავიდა ძე გიორგი მეფისა, 16 წლის ყმაწვილი კაცი, დავით ბაგრატოვანი.

ავიდა, იმეფა და აოხრებული საქართველო, ის გამხმარი, რტოებ-დაშვებული, უფოთლო, უმწვანო ხე, რომლის მიდამო იყო «ტიალ და გაოხრებულ» ისე განახლებული, გაძლიერებული და გამშვენიერებული დასტოვა, რომ გაკვირვებული მემატიანე დავითისაგან შეცვლილს სურათს ამ სიტყვებით ჰხატავს:

«გხედავდი ხესა, შორის ქვეყანისა, სიმაღლედ ცისა მიწდომისა და რტოთა მისთა კიდემდე ქვეყანისა, ფურცელნი მისნი მშვენიერ და ნაყოფი მისი ფრიად. შორის ქვე კერძო მისსა დაიმკვიდრეს მხეცთა ქვეყანისათა და შორის რტოთა მისთა მკვიდრობათ ჰქვეს მფრინველთა ცისათა და მისგან იზრდებოდა ყოველი ხორციელი».

დღევანდელი დღე ამ ღვაწლ-დამდების, სახელოვანის მეფის მიცვალების დღეა. დღევანდელს დღეს ჩვენ მოვალენი ვართ მოვიგონოთ ლოცვითა და კურთხევით ამ საკვირველის მეფის ღვაწლი და ამაგი საქართველოსა და მის ისტორიის წინაშე. თუ საქართველოს გაუხარნია ოდესმე თავის შავ-უკუღმა დღეთა სვლაში, თუ მის ღვაწლით-მოსილს მარჯვენას ნაყოფი უმკია—ამ გვარ დროთ უნდა ჩაითვალოს დრო დავით აღმაშენებელის მეფობისა. მეფობა დავით აღმაშენებელისა ერთი შეუწყვეტელი ჯაფა და ღვაწლი, ოფლისა და სისხლის ღვრა იყო ერისა თავის ყოფა-ცხოვრების განკარგებისა და მშვიდობიანობისათვის. ამ მეფობის დროს იძლივნენ მრავლად-გარშემორტყმულნი მტერნი საქართველოსი, ამ დროსვე აივსო ქვეყანა მთად და ტყედ განფანტულ მკვიდრთაგან, გაივსო ქალაქებით და მრავლად აშენებულის ტაძრებით. ამ დროსვე ჩაიდგა საძირკველი საზოგადოებურის ცხოვრებისა, ეკკლესია გაიმართა წესისაებრ, სამღვდელოთა ყოფა განკარგდა, გზანი «საწყინოდ-სავალნი ქვა-ფენილ იქმნენ, ხიდნი სასტიკთა მდინარეთა აშენდენ», ვაჭრობა გაჩაღდა, ქარვასლები დაიმართა, ქსენონი აშენდა სნეულებისა და ომში დაჭრილთ განსასვენებლად და სამკურნალოდ. ქვეყნის მშვიდობიანობის დასაცველად მეფე დავითმა განაწესა სახელოვანი როქის სპა, ანუ მუდმივი ჯარი 60,000 კაცამდე, რომელსაც ჯამაგირი ეძლევოდა სამეფო ხაზინიდამ. აი ეს ჯარი შეიმოსა ძლევა-მოსილობით, ამ ჯარმა დაამხო სიმძლავრე სპარსთა და თურქთა სელჯუკთა. თურქთა სელჯუკთა ხელში იყო მაშინ, როგორც ვიცით, არა თუ თითქმის მთელი საქართველო, არამედ მცირე აზია და პალესტინა იერუსალიმითურთ. ამ დროსვე დაიწყო ევროპიელთა ჯვაროსანთა მიერ ლაშქრობა თურქთა—სელჯუკთა წინაამდეგ ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად და ამ გარემოებამ დიდად გაუადვილა დავითს საქართველოს დახსნის საქმე. ორი დიდი გამარჯვება, რომელიც დარჩა დავითს ახალციხის ახლო და დიდომ ზემოდ სრულიად ცხადად ჰხატვენ მას, როგორც დიდის სამხედრო ნიჭით შემკულს კაცს, მხნე მეომარსა და გამოცდილს სპასალარს. მხნეობა და ვაჟ-კაცობა მისი სწორედ განსაცვიფრებელი იყო: ერთის ომის შემდეგ, როდესაც აღიხადა აბჯარი,—ამბობს მის დროის კაცი—მემატიანე—«ეგოდენ შეყინებულნი სისხლნი გამოხდნენ წიადით მისით, მისის ხრმლის ნაცემობისაგან ჩანაწვეთნი სხვისანი, რომელსაც ჩვენ ვკონებდით მის მიერობასა». ასეთი მეომარი და მხედარი კაცი იყო, ლმობიერი და მოწყალე. «მრავალ გზის გვინახავს იგი დამალტობელი ღაწვთა თვისთა ცრემლითა ხილვასა ზედა თვითო სახეთა სენთა-მიერ განცდილთასა», ამბობს იგივე მემატიანე და შემდეგ განაგრძობს: «აღაშენა ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა და შვენიერსა, რომელსა შინა შეკრიბნა ძმანი სენითა განცდილნი და მოუმზადა ყოველივე სახმარი მათი, უნაკლულოდ და უხვებით. ხოლო თვით მივიდის, მოიხილნის, მოიკითხნის და ამბორს უყვნის თვითოეულსა, ჰფუფუნებდის მამებრ».

ყოველ ამასთან მეფე დავით დიდი ღვთის მოსავი კაცი იყო და დიდად უყვარდა სამღვთო წერილის კითხვა. წიგნები თან დაჰქონდა ლაშქრობაში. მანვე შემოიღო ჩვეულებად ახალ-გაზდათა გზავნა ათინაში სწავლისათვის. ასეთი იყო ის მეფე, რომელმაც დააგვირგვინა ორის საუკუნის ღვაწლი, დაწყებული მისთა წინაპართაგან—შემოკრება ქვეყნისა ერთის მეფის უფლების ქვეშ და გაძლიერება ერთ-მთავრობისა. ღვაწლი

ფელეტონი

ორი საგრამატიკო საგანი

(დასასრული *)

ჩვენის აზრით, არსებითს სახელს აქვს ხუთი ბრუნვა: 1) სახელობითი, 2) ნათესაობითი, 3) მიცემითი, 4) მოთხრობითი და 5) წოდებითი. კაცი, კაცი-სა, კაც-სა, კაც-მა და კაც-ო, ესენი არიან ბრუნვის ჭეშმარიტი დაბოლოვებანი.

რომ რიცხვი ბრუნვათა შეურყევლად დარჩეს, უნდა დავადგინოთ ისიც, თუ რომელ სიტყვის ნაწილს ეკუთვნიან ასეთი ლექსები: სახლში, ბაღში, ბანზე, კედელზე, ლაპარაკში და სხ. ჩვენი გრამმატიკოსები, მათ რიცხვში ბ-ნი ყიფიანიც, ამ სიტყვებს არჩევენ ისტორიულად, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ესე იგი, ისინი არ გვიხსნიან, რას წარმოადგენენ ეს სიტყვები დღეს, აწინდელს ლაპარაკში და მოგვითხრობენ, რომ

სახლში წარმოსდგა სახლსა-შინა დამ
ბაღში — — ბაღსა შინა
ბანზე — — ბანსა ზედა
კედელზე — კედელსა ზედა

და მაშასადამე სახლში არის არსებითი სახელი მიცემითი ბრუნვისა, დამატებით თანდებულისა შინა ანუ ში. ჩვენის აზრით, ესეც შეცდომაა პატივცემულთ გრამმატიკოსებისა. დიაღ, მართალია, რომ სახლში წარმოსდგება ლექსებიდამ სახლსა შინა, ისე, მაგალითებრ, როგორც *домой* წარმოსდგება ლექსიდამ *домъ*, **кромѣ** სწარმოობს სლავიანურის არსებითის სახელიდამ ***крома***, მაგრამ ვინ იტყვის, რომ **домой** და **кромѣ** იყვნენ არსებითნი სახელნი და არა ზმნის-ზედანი. საქმე ის კი არ არის, თუ რა ლექსი საიდამ და როგორც სწარმოვობს, არამედ ის, თუ დღეს, აწინდელს მის ხმარებაში, რა ჰაზრი ეძლევა მას. რასაკვირველია, როცა ძველ წიგნებში შევხვდებით ფორმას ბასკჳსა შინა, სახლსა-შინა ვიტყვით, რომ იგი არის არსებითი სახელი მიცემითის ბრუნვისა, მაგრამ აწინდელი ლექსნი: სახლში, ბაღში, ბანზე ჰკარგავენ მნიშვნელობას სახელისას და ითვისებენ უფრო მნიშვნელობას მიმართულებისას. მე მივდივარ ბაღში. ამ წინადადებაში ლექსი ბაღში გვიხატავს მას, თუ საით მიიმართება ჩემი მოქმედება: უწინ ამასვე ჰნიშნავდა მხოლოდ თანდებული შინა, მაგრამ დღეს იგი ისე შეხორცდა სახელთან, რომ მათი განცალკევება შეუძლებელია. თვით სიტყვაც სახლსა იცვალა და დარჩა მარტო სახლ, რომელიც ცალკე გაშინჯული აღარ შეიცავს არავითარ აზრს. ამ მოსაზრებათა გამო, ერთხელ და სამუდამოდ ასეთი სიტყვები მთლად უნდა ჩაითვალონ ზმნის ზედებად, როგორც რუსული **домой, кромѣ** და სხვა მრავალნი. ხოლო, როცა ამ ლექსთა გავშინჯავთ, როგორც ზმნის-ზედებს, იქ შეიძლება ვუჩვენოთ მოწაფეს მათი ისტორიული წარმოება.

არის ერთი ამ გვარივე სიტყვა: სახლს-უკან. ეს სიტყვა ოდესმე გახდება ზმნის-ზედად, ესე იგი მაშინ, როდესაც შუაში ამოაკლდება «ს» და დარჩება სახლ-უკან. ხოლო ვიდრე ეს ცვლილება მოხდებოდეს, დღეს იგი არის მიცემითი ბრუნვა, დამატებით თანდებულისა «უკან».

აი ერთი საგრამმატიკო საგანიც: აქვს თუ არა სახელს გრამმატიკებური სქესი (родъ). ამის პასუხს ყველა გრამმატიკოსები, გარდა ყიფიანისა და ჩუბინოვისა, «ჰოობით იძლევიან». ყველანი, მიბაძვით და თარგმნით, რასაკვირველია, ჰპოვებენ ქართულს ენაში მამრობითს, მდედრობითს და საშუალო სქესს ანუ ნათესაობას. ამ შემთხვევაში, როგორც მრავალ სხვებში პატივ-ცემული დიმიტრი ყიფიანი ყველაზედ სალად უყურებს საქმეს და ჰხედავს, რომ გრამმატიკებური სქესი უცხო არის ქართულის ენისათვის, რომ ჩვენ ენას არა აქვს რუსულის ენის თვისება: მაგალითებრ, **мужчина пришелъ, женщина пришла** და **дитя пришло**; ჩვენ ყველაზედ ერთგვარად ვიტყვით: მოვიდა. მაშასადამე გრამმატიკებურს სქესს, წინააღმდეგ ძველის გრამმატიკოსების აზრისა, ჩვენს ენაში არა აქვს ადგილი, როგორც ამ მხრით, ისეც იმითიც, რომ სქესთა გასარჩევად არავითარი სხვა ფორმაც არ არსებობს ჩვენს ენაში.

⁂

ვიდრე ზმნამდის ჩახვალთ, თუმცა ბევრს შეცდომებს და ახირებულს გამოკვლევას შეემთხვევით ჩვენს გრამმატიკებში, მაგრამ მაინც იმედს არა ჰკარგავთ, მაინც, ასე თუ ისე, კვალს ადგიხართ და მიდიხართ წინ ნელის ნაბიჯით, ფრთხილად. აი ჩახვედით ზმნამდის. აქ შორს ყოველო იმედო, სრული სიბნელეა და გაურკვევლობა. რამდენიც გრამმატიკა გიძევთ წინ, იმდენი სხვა-და-სხვა შეუფერებელი და ერთმანეთთან შეუწონებელი აზრები მოგდით თავში. ჰხედავთ, რა ცეცხლში არიან თქვენი გრამმატიკოსები, გებრალებიან, მაგრამ შველით, ვერც თქვენა ჰშველით. ისეთი კანონი, ისეთი წესი ვერა მოგიგონიათ-რა, რომ მას ექვემდებარებოდეს, ემორჩილებოდეს ყოველი ზმნა. თითო კანონზედ ათასობით და ათი-ათასობით ჰპოვობთ მაშინვე უკანონო ზმნებს, ესე იგი უკანონოებს კი არა ნამდვილად, არამედ ისეთებს, რომელნიც თქვენ კანონს არ ემორჩილებიან. ასეთმა სასოწარკვეთილმა მდგომარეობამ ბ-ნი პლატონ იოსელიანი იქამდის მიიყვანა, რომ, თუმცა იგი თითონვე აღდენს ზოგიერთ კანონებს ზმნის უღვლილებისას, მაგრამ ბოლოსვე სჩქარობს დაურთოს, რომ ყოველი ქართული ზმნა უკანონო არისო. ვიდრე ჩვენი გრამმატიკა შეუმუშავებელია, ასეთი დასკვნა არც არის უსაფუძვლო. ქართულს ზმნასა, მოგვითხრობენ ზოგნი გრამმატიკოსნი, აქვს ხუთი დროვო: 1) აწ-მდგომი, 2) ქმნილი უსრული, 3) ქმნილი სრული, 4) ქმნილი უსრულესი და 5) ქმნადი, ანტონი და დოდაევი ამ ხუთს დროს უმატებენ მეექვსესაც: უსრულესი. ბ-ნი ყიფიანის აზრით კიდევ არიან აგრეთვე დრონი: უსრულესი სარწმუნო და აორისტი. ესეც გახდა რვა. სიმდიდრეა მოსაჰარბებელი! ჩვენის აზრით კი სამი დროის მეტი არ არსებობს: აწმყო, წარსული და მომავალი. რომ ეს ცხადად დავინახოთ, დავუღელი-

---

*) «ივერია», № 17.

დავით კურაპალატისა ამ მხრივ, ბაგრატ III და ბაგრატ IV დარჩებოდა უნაყოფოდ, რომ საქართველოს არ მოჰვლინებოდა ისეთი მხნე, შორს-გამჭვრეტელი და ბრძენი მეფე, როგორიც იყო დავით. თვით ბრწყინვალე მეფობა თამარისა ბევრად სხივ-მოკლებული იქნებოდა, რომ დავითის ღვაწლი წინ არ წასძღოლოდა ამ გამოჩენილს მეფეს და საქართველო ძნელად ეღირსებოდა ისეთს საკვირველს დროს, როცა მან უმაღლეს ხარისხს მიაღწია განათლებისას, მოქალაქობისას და საზოგადოდ კულტურისას. დიდებას საქართველოისას დავითმ ჩაუგდო საძირკველი. ქვეყანას უჭირდა სწორედ იმ დროს სახელოვანი მეფე და ბედმაც მოუვლინა ქართველებს დავით. «მამამან ზეცათამან პოვა დავით, მონა თვისი და საცხებელი მისი წმინდა სცხო», ამბობს ქართლის ცხოვრება. ყოველივე ამ ღვაწლისათვის მადლობელმა ერმა დავითს დაადგა გვირგვინი დიდებისა და სახელად უწოდა აღმაშენებელი. მეფე დავით აღესრულა 1125 წელს 24 იანვარს, დღესა შაბათს, 36 წლის მეფობის შემდეგ. დასაფლავებულ იქმნა გენათის მონასტერში ქუთაისის მახლობლად. აღესრულა «ესე გვირგვინოსანი, მრჩობლ მარჯვენე და სასურველი დავით, რომელი ესე ერთბამად მხნეცა არს და ბრძენ, მართლ და წმიდა, მყუდროცა და მშვიდ, სახიერ და ტკბილ, მოწყალე და ძვირ უხსენებელ».

ესეთი იყო მეფე, რომლის სახსენებლადაც დადებულია 24 იანვარი.

ა. ყ.

დეპეშა

იანვრის 22

პეტერბურგი. დღეს ჩერნოგორიის მთავარი პეტერბურგს მობძანდა; ვაგზალზე დახვდნენ ხელმწიფე იმპერატორი და დიდნი თავადნი. საპატიო ყარაული იზმაილოვის პოლკისა იყო დროშით და მუსიკით.

პარიჟი. საბერძნეთს უპასუხნია სახელმწიფოებისათვის, რომ მე სრული ნება მაქვსო, სამხედრო მალა როგორც მინდა, ისე მოვიხმარო, ამ გვარ საქმეში სხვის გარევა და წინააღმდეგობა საბერძნეთის თავის-უფლებას არ ეკადრებაო.

სტამბოლი. ოსმალები და ბოლგარნი ერთმანეთს მორიგდებიან და შემდეგი მირეული პირობა დაუდვიათ: 1) მთავარი ალექსანდრე აღმოსავლეთის რუმელიის გენერალ-გუბერნატორათ დაინიშნება ხუთის წლის ვადით; ამ ვადის შემდეგ შეიძლება კიდევ ხელ-მეორედ დაინიშნოს. 2) ოსმალეთს უკანვე დაუბრუნდება როდოპის და ყირჯალის მაზრების მოლამლების სოფლები; ამის მაგიერ ოსმალეთი ბალკანს აღარ დაიჭერს. 3) ორსავე პროვინციაში, ოსმალეთის ევროპაში მფლობელობის დასაცველად, ჯარები სულთანის განკარგულების ქვეშ იქმნება. ამ ჯარების უფროსობა ჩაებარებათ ოსმალოს ოფიცრებს. 4) ამ სახითვე თვით ოსმალეთის ჯარი უნდა დაეხმაროს რუმელიას და ბოლგარიას, თუ საჭიროება მოითხოვს; ამ შემთხვევაში ამათ სარდლათ იქმნება მთავარი ალექსანდრე. 5) ფილიპოპოლში შეიკრება ოსმალ-ბოლგართა კომისია და გადაშინჯავს, თუ რა ცვლილება უნდა მოხდეს აღმოსავლეთის რუმელიის ორგანიულს წესდებაში. 6) ყოველივე სხვა მუხლი ბერლინის ხელ-შეკრულობისა უცვლელად დარჩებიან. ეს პირობები წარუდგინეს სულთანს დასამტკიცებლად, და გუშინვე უკანვე პორტას მოუვიდა ზოგიერთის ცვლილებით, მაინც კი ფიქრობენ, რომ მორიგება დაუყოვნებლივ მოხდებაო. უმეტესი ნაწილი ოსმალეთის ჯარისა, რომელიც აქამდის სერბთა ბოლგარიის და ალბანის საზღვრებზე იდგა, ეხლა საბერძნეთისაკენ მიემართება.

ახალი ამბავი

⁂ «ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებას შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის» უფრო სასარგებლოდ დაუნახავს მარტო გაზ. «კავკაზისათვის» ეცნობებინა ანგარიში მის-მიერ «სათავად-აზნაურო სკოლის» შესაწევრად გამართულის ბალისა. აბა, რა კითხვა უნდა, რომ გაზ. «კავკაზის» მკითხველთათვის უფრო საინტერესოა ავი და კარგი ხსენებულის სკოლისა, ვიდრე ქართულ გაზეთების მკითხველთათვის. ამის მომქმედთა უსათუოდ ეს აზრი ჰქონიათ. რადგანაც ჩვენს გაზეთს არ აღირსეს ეს ანგარიში და რადგანაც ჩვენ გვგონია ჩვენთა მკითხველთათვისაც საინტერესო იქნება, თუმცა არა ისე ძრიელ, როგორც «კავკაზის» მკითხველთათვის, იძულებულნი ვართ ეს ანგარიში «კავკაზიდამ» გადმოვბეჭდოთ.

ბალიდამ შემოსულა ბილეთების გასყიდვით	840 მან.
ბუფეტიდამ	148 —
შემოწირული	54 —
სულ	1042 —
დახარჯულა	235—70
წმინდა შემოსავალი დარჩა	806—30

ბოდიშს ვიხდით ქართველებთან, თუ ამ ანგარიშის დაბეჭდვა ქართულს გაზეთში მართლა მეტია, როგორც «სათავად-აზნაურო სკოლის» გამგებელთ უფიქრნიათ.

⁂ სოხუმიდამ გვწერენ, რომ იქ ერთს აბხაზს ბ-ნ გრიგოლ შარვაშიძესთვის მიუტანია ნიმუშად ერთი ბოთლი ნავთი, რომელიც აბხაზეთში ამოჩენილა. თუმცა ცოტა მღვრიევა და მიწა-რეულიაო, მაგრამ, როგორც სუნით, ისე გემოთიო ნავთს ძალიან ჰგავსო. კარგი იქნება, რომ ამ ამბავისთვის ყური მიეგდოთ, ნავთის სათავე ამოეჩინოთ და დაწვრილებით გამოეკვლიოთ.

⁂ იქიდამვე გვწერენ, რომ ნიკოლაევის სტანციის ყაზახებს აბხაზეთში, ერთს უდაბურს ადგილას, ტყეში, სადაც კაცის ფეხიც არ მოჰხდომია, ერთი ძველი ქვით-კირის ეკკლესია უპოვიათ. ეკკლესიაში უნახავთ ტრაპეზი, ხატები, ვერცხლით მოჭედილი ჯვარი და კიდევ სხვა რამდენიმე ნივთი; ტრაპეზში აგრეთვე ორი მარმარილოს ქვაა, ზედ-წარწერით, ქართულს თუ ბერძნულს ენაზე, ვერ გაურჩევიათ. ეკკლესიაში უნახავთ კიდევ, რამდენიმე კაცის მთლად შენახული მძლები, ხელ-უხლებლად სიგძეზე დაწყობილი.

⁂ სოხუმში გარდაცვლილა 85 წლის სოხუმის საპატიო მოქალაქე ნიკოლოზ მეტოქსა, რომელსაც დიდი პატივი დაუმსახურებია მთელს სოხუმში. 19 წელიწადი ქალაქის მეთაურად ყოფილა სოხუმში, 1850—1869 წლამდე და ბოლოს სიბერის გამო თავი დაუნებებია. გარდაცვლებულს გაუმართავს სოხუმში ფაეტონები, გაუწმენდია, გამოუყვანია წყაროები და ქვით-კირით აუშენებია. ასე პატივ-ცემულ ყოფილა, რომ დიდი პატარა, მოხელე თუ კერძო კაცნი მის დასაფლავების დროს დასწრებიან და საფლავამდინ გზა ვარდებით მოუფენიათ.

⁂ სიღნაღის მაზრაში წითელა და საქონლის ჭირი ცოტად, თუ ბევრად გავრცელებულია. აქაურმა მაზრის უფროსმა ყველა სოფლის მამასახლისებს დაურიგა დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ ჭირიან საქონელს, რომ ჭირი არსად საქონელს არ გადაედოს.

ნაკვესი

ერთხელ ერთი კარგად გამდიდრებული მოხელე კაცი შეჰხვდა ერთს გურულს ემაწვილ-კაცს და ჰკითხა თავმოწონებით და მედიდურად:

— რა ამბავია, კნიაზო, ცათა შინა და ქვეყანასა ზედა?

— გაპირდა პური ჩვენი არსობისა და მოგვეც ჩვენ დღესო, უპასუხა მოსწრებულმა გურულმა.

(გურული)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. კარდანახი, 20-ს იანვარს. მკითხველს საზოგადოებას ეხსომება, რასაკვირველია, რომ ქურდობის და ავ-კაცობის მოსასპობლად სოფლებში, მაზრის უფროსების ჩაგონებით, შეადგინეს განსაკუთრებული «განაჩენი». ამ განაჩენის ძალით სოფელში, რაც კი დაიწყება, ერთი სიტყვით, რანაირადაც უნდა იყოს, დაზარალდება ვინმე, სოფელი მოვალეა დაზარალებულს ზარალი უზღოს, თუ დამნაშავე არ იქნება ნაპოვნი. ამ «განაჩენის» შედგენა სოფლებში გამოიწვია დაუცხრომელმა მეზობელთა შორის მტრობამ, რომლის შედეგიც იყო: ერთმანეთის ვენახების გაკაფვა, საქონლის დასახიჩრება, სახლის, საბძლის, ღობეების წვა და სხვა...

ეს, არა სანატრელი სენი წინა-მხრის (სიღ. მაზ. ნაწილია) სოფლებში, ს. კარდანახში ყველაზედ მომეტებულად მძვინვარებდა. აქაურს დიდს და პატარას, მოხუცს და ახალ-გაზდას ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი ეს სენი, ასე რომ მისი მოსპობა საეჭვო იყო აქ. დღე ისე როგორ გაივლიდა, რომ მამასახლისის კარზე დილა-ადრიანად რამდენიმე მოჩივარი არა მდგარიყო. რასაკვირველია, მინამ ზემოხსენებული განაჩენი ძალაში შევიდოდა, მოჩივართა შორის ზოგს ზურგზე ეკიდა ახალშენა ვაზის რქები და ჩიოდა, ვენახი გამიკაფესო, ზოგს ეჭირა ხელში საქონლის კუდი, საქონელი დამისახიჩრესო და სხვანი... ყველა ეს, გიმეორებთ, ჩვეულებრივი მოვლენა იყო აქ, მაგრამ დამნაშა-

---

ლოთ რომელიმე ზმნა ჯერ ისე, როგორც ჩვენი გრამმატიკოსები გვიწერენ და მერე ჩვენებურად. ბ-ნი დოდაევი ასე აუღვლილებს ზმნას ვსწერ,

აწმყო დრო	წარსული დრო
1. ვსწერ	ვსწერდი
2. ჰსწერ	ჰსწერდი
3. ჰსწერს	ჰსწერდა
წარს. სრული დრო	წარ. უსრული დრო
დავსწერე	დამიწერია
დასწერე	დაგიწერია
დასწერა	დაუწერია
წარს. უსრულ. დრო	მომავალი დრო
1. დამეწერა	დავსწერ
2. დაგეწერა	დასწერ
3. დაეწერა	დასწერს

პლატონ იოსელიანის გრამმატიკით:

წარსული უსრული დრო
1. ვსწერდი ანუ ვსწერე
2. ჰსწერდი — ჰსწერე
3. ჰსწერდა — ჰსწერა

ქმნილი უსრულესი, მომავალი და აწმყო პლატონსაც იგივე აქვს, როგორც დოდაევს. მაშასადამე, ამან დაუმატა ვსწერე, რომელიც დოდაევს დავიწყებია და გააუქმა უსრულესი: დამეწერა. ეს უკანასკნელი ფორმა, მართლაც, უადგილოდ აქვს ნახმარი ბ-ს დოდაევს. იგი არის, მართალია, წარსული დრო, ხოლო არა საზღვრებითი დახრისა*) (наклоненіе), არამედ სათუოსი. დავწერე—არის წარსული სრული დრო საზღვრებითის დახრის და დამეწერა—იგივე დრო სათუო დახრისა.

თავ-და-პირველად, უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი ავტორები არ არჩევენ დროს ზმნის სახისაგან (видъ глагола). ვსწერდი—არის უსრული სახე წარსულის დროისა; დავსწერე—სრული სახე იმავე წარსულის დროისა. დრო აქ ორსავე შემთხვევაში არის ერთი წარსული და განსხვავება ჰსუფევს სახეში, რომელიც ქართულს ზმნას სამ-გვარი აქვს: უსრული, სრული და უსრულესი. ასეთივე კანონი მოქმედობს რუსულ ენაშიაც. იმათ აქვთ:

აწმყო დრო	წარსული დრო
Я пишу	Писалъ
Ты пишешь	Писалъ
Онъ пишетъ	Писалъ

ხოლო რუსებიც იტყვიან წარსულ დროშივე: написалъ, приписалъ, переписалъ, надписалъ და სხვა მრავალი, მაგრამ ესენი ამ ზმნებსაც წარსულ დროისათ სთვლიან, გარნა სრულის სახისად, რაიცა არსებობს ჩვენს ენაშიაც. ვსწერდი არის ერთ-გვარი ზმნა, დავსწერე—მეორე; ერთი ჰნიშნავს, რომ მოქმედება სწარმოობდა და არ-კი ვიცით, გათავდა, თუ არა, მეორე—მოქმედებას უკვე შესრულებულს, გათავებულს: გარჩევა სახეშია.

ასეთის გაურკვევლობიდამ სხვა შეცდომებიც მომდინარეობენ. რაკი წარსულში აგვირიეს: ვსწერდი, ვსწერე დავსწერე, მიწერია, დამიწერია, მომავალ დროსაც შეცდომით ასახელებენ დავსწერ. მართლაც და რა ძნელი მისახვედრია, რომ დავსწერ უდრის წარსულს—დავსწერე და წარსულივე ვსწერდი-დამ, ან ვსწერედამ, როგორი-ღა იქნება მომავალი დრო, ამის პასუხს არ იძლევიან.

უფრო ნათლად უყურებენ ამ საგანს პროფესორები ჩუბინოვი და ცაგარელი. ამათის ფიქრით, ზმნას აქვს ხუთი დრო: აწმყო, წარსული, უსრული, სრული, უსრულესი და მომავალი. წარსულ დროში ზმნას ესენი ასე აუღვლილებენ:

წ. უსრ.	სრული	უსრულესი
ვსწერდი	ვსწერე	მიწერია
ჰსწერდი	ჰსწერე	გიწერია
ჰსწერდა	ჰსწერა	უწერია

ამ ზმნას («ვსწერ»), პროფესორების აზრით, მომავალი დრო არა აქვს. რატომ? ამაზედ პასუხს არ იძლევიან. ამათი მართალი იმაში მდგომარეობს, რომ აღარა ხმარობენ წარსულში დავსწერე და მომავალში დავსწერ, რადგან ეს სრულიად სხვა ზმნა არის, როგორც писалъ და написалъ და მათი ერთმანეთისაგან გაურჩევლობა ძველ გრამმატიკოსებსაც უნდა ბრალად დაედოთ, არა თუ ახლებს გაემეორებინათ, ამაზედ წინ ვერც ესენი წავიდნენ. გარდა ამისა ერთი გარემოებაც არის აქ შესანიშნავი. როგორც ზევით დაინახავდა მკითხველი, პლ. იოსელიანი ფორმას ვსწერე სთვლის უსრულს დროთ და უდარებს ფორმას ვსწერდი, მაშინ, როდესაც ყველა გრამმატიკოსები, ძველები და ახლები, ერთ-ხმივ სთვლიან ამ ფორმას წარსულს სრულ დროთ. ან ჩვენებურად რომ ვსთქვათ, პლ. იოსელიანი ვსწერე-ს სთვლის უსრულის სახის (несовершенный видъ) ზმნად და სხვა ყველანი-კი სრულის სახისად (совершеннаго вида). უეჭველია, ბ-ნს იოსელიანს ჰქონია რაიმე საბუთი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საბუთები ჩვენც არ გაგვიზიარა, რომ მკითხველიც კარგად დააკვირდეს ამ ფორმას, მოვიყვანოთ აქ რამდენიმე მაგალითი.

უსრული სახე	სრული სახე
ვსწერდი	ვსწერე
ვკითხულობდი	ვიკითხე
ვლაპარაკობდი	ვილაპარაკე
მივდიოდი	მივედი
ვსვამდი	ვსვი

ჩვენ ამ შემთხვევაში უმრავლესობისკენა ვართ და პლ. იოსელიანის აზრი მიგვაჩნია უსაფუძვლო აზრად. საბუთად რა უნდა ვიხმაროთ? ან უნდა დააკვირდეს კაცი თვით სიტყვებს: ვსწერე, ვიკითხე და სხვა—და გამოარკვიოს. რა საცნაურს გვიხატვენ ეს სიტყვები,—მას, რომ საქმე კიდეც დაიწყო და კიდეც გათავდა (როგორც (написалъ); მას, რომ არ გათავებულა (როგორც писалъ), ან კიდევ უღვლილების რაიმე გარეგან ფორმას, რაიმე გარეგან თვისებას.

პირველი რომ ვიგულისხმოთ, ჩვენ ვერა დასკვნას ვერ დავადგებით, რადგან, თითქმის, რამდენიც ქართველია, იმდენი სხვა-და-სხვა ჰაზრია: ზოგს ჰგონია, რომ მოქმედება სრულდება, თავდება, ზოგს-კი—არა. ამავე უთანხმოებამ ბ-ნს პლ. იოსელიანს ათქმევინა აზრი სრულიად წინააღმდეგად ყველა გრამმატიკოსებისა. ხოლო მეორე რომ ვიგულისხმოთ ასე გამოვა: ნამდვილს უსრულის სახის ზმნას პირველის უღვლილებისას *) (ვკით-

---

*) სიტყვა დახრას გვგონია სიტყვა კანწლედი სჯობდეს. საზოგადოდ კი უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მეტად საყურადღებო საგანს, რომელსაც არჩევს პატივ-ცემული ავტორი, ჩვენ არ შევეხებით არც აზრისა და არც ტერმინების ხმარების მხრით. რედ.

*) პირველი უღვლილების ზმებად იწოდებიან იგინი, რომელნიც პირველს პირს, აწმყო დროისას, იწყობენ ასოთი «ვ». ავტ.

ვებს ვერ პოულობდნენ, თუმც ეჭვით კი ერთმანეთზე უჩვენებდენ. ეჭვით დამნაშავეს კანონით ვერას გადაახდევინებდენ დაზარალებულები და დამნაშავე დაუსჯელად უფრო წათამამებული ერთი-ორად უმატებდა თავის ხელობას...

ზემოხსენებული განაჩენი დამტკიცდა თუ არა, სოფელმა ამოირჩია ხუთი გლეხი და ორი თავადიშვილი, რომელთაც მოვალეობაა ყოველ სოფელში მომხდარი ქურდობა, თუ ავ-კაცობა გამოიძიონ და თუ ვერ იპოვეს დამნაშავე, სოფელზე გაწერონ ზარალის ფასი დაზარალებულის სასარგებლოდ...

პირველ წელიწადსვე «განაჩენის» ძალით გაწერილმა სოფელზე ფულმა ყურები აცქვეტინა ხალხს...

— ბიჭო, იმან, რომ მაიპარის, მე რათ უნდა გზღოო... გაიძახოდენ სოფელში. როცა მოსთხოვეს სოფელს თუ ვინ არიან მავნე პირები სოფელშიო, ხალხმა ერთ-ხმად გამოიყვანა მოედანზე ქურდი და ცუდი ზნის მქონე ხალხი... ყველა ეს ვაჟ-ბატონები კარგა ხანს ბძანდებოდენ სატუსაღოში. სატუსაღომ ჯეროვანი შედეგი იქონია. სოფელში დაბრუნდენ ისევ ის ხალხი, მაგრამ თავისუფალი ნავარდობა კი ვეღარ გაუბედნიათ. თვით სოფელში «განაჩენმა» დაჰბადა სიფხიზლე, ერთმანეთზედ თვალყურის ჭერა და ეს არის მიზეზი, რომ შესამჩნევლად შემცირდა სოფელში პირუტყვთა ჩეხა, გაზების გაფვა და ქურდობა. ისეთი მშვიდობიანობა ჩამოვარდა ხალხში, რომ სახლს დაუკეტავს სტოვებდენ, საქონელს უპატრონოთ უშვებდენ მინდორში, რადგან იმედი ჰქონდათ მათ საკუთრებას ვერავინ შეეხებოდა...

ამ მშვიდ ცხოვრებაში იყო ს. კარდანეხი, მაგრამ დასწყევლოს ღმერთმა ჩვენი ბოლოს გაუტანლობა ყოველ საქმეში... ამორჩეულთ პირთ, განაჩენის ძალით, მიიძინეს და აგერ წელიწადი გადის, რაც არაფერითარი საქმე აღარ გაურჩევიათ. სოფელმაც თითქო მიივიწყა განაჩენი და ისევ ძველი რჯული მოიგონეს...

გუშინ სასოფლო სასამართლოში არა ერთი და ორი მოჩივარი იყო, რომელნიც ჩიოდენ განაჩენით ამორჩეულთ პირთა გასარჩევ საქმეებს. ვენახის გაკაფვა და საქონლის დასახიჩრება ისევ შემოიღეს...

არ ვიცით თუ რა მიზეზია ესეთი ყურ-დაუგდებულება განაჩენით ამორჩეულ პირებისა?

ნუ თუ ისინი არ არიან მოვალენი დაიცვან სოფლის მყუდროება?.. მოვალენი არიან, მაგრამ... ვისურვებთ აქაურმა მაზრის უფროსმა მიაქციოს ამორჩეულთ პირების უზრუნველობას ყურადღება და მით აცილოს სოფელს ქურდავაზაკობის დაბრუნება...

ი. კახელი

დამაკვირდი!

ნუ რას დროს ნუ იმედოვნებთ სასოწარკვეთილებით და ნურც სასოს წარიკვეთთ უიმედოდ. (ბუასტ)

⁂

კარგი ჰქმენ—მეშურნენი გაგიჩნდებიან, ჰქმენ უკეთესი—და შეჰრცხვებიან იგინი. (ბეშერელი)

⁂

სადაც არ არის მართლ-მსაჯულება, იქ ბუნაგია და არა მამული. (ლემონტეი)

⁂

შეიძლება ადამიანი მცოდნარე იყოს სხვის ცოდნით, ბრძნად ყოფნა-კი მარტო საკუთარის სიბრძნით არის შესაძლო. (მონტენი)

⁂

ნასწავლ-სწავლული უფრო ბევრს გვავნებს, ვიდრე მთელი მილიონი სულელნი ერთად. (ლანგენდიკი)

⁂

ვიღაც უბედმა მოაწყინა თავი არისტოტელს უხეირო ამბების თქმითა და უკანასკნელი ამბავი რომ გაათავა, ჰკითხა:

— არა, საკვირველი არ არისო?

— აქ საკვირველი მარტო ის არის, რომ იგი, ვისაც ორი ფეხი აქვს, დროსა ჰკარგავს და შენ ყურს გიგდებსო, უპასუხა ფილოსოფოსმა.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ფინანსთა მინისტრი, როგორც მთელი სახელმწიფოს ხაზინადარი, ვალდებულია ყოველ-წლივ წარმოადგინოს დაწვრილებით ანგარიში, თუ რამდენია მთელი სახელმწიფოს შემოსავალი რამდენია გასავალი და რა რაში დახარჯულა. მერე ეს ანგარიში გაზეთებში იბეჭდება საყოველთაოთ საცნობად. ჩვენ გაზეთი «Русскія Вѣдомости»-ებიდამ მოგვყავს ეს ანგარიში:

> სახელმწიფო შემოსავალს გადააჭარბა გასავალმა ამ 1886 წელსა, 25 მილიონ მანეთამდე. ჩვეულებრივი შემოსავალი შეადგენს — 787 მილიონ მანათს; ამ წლის განმავლობაში შეემატება კიდევ 100 მილიონამდე; გასავალი შეადგენს—812 მილიონს მანათს, 28 მილიონი მეტია წარსული, 1885 წლის გასავალზე. რადგანაც შარშან წელს დანიშნულს გასავალს 7 მილიონი მოემატა, ამის კვალობაზე მოელიან, რომ ამ წელსაც აღრიცხულს მთელის წლის გასავალს კიდევ 25 მილიონი დეერთობაო.

ამ გვარად ამ წელს სახელმწიფოს 25 მილიონი მეტი გასავალი ექმნება, ვიდრე შემოსავალი. ამ გარემოებამ მთელი რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა აალაპარაკა. ბევრი უსაყვედურებდა ფინანსთა მინისტრს, რომ საქმეს კარგად ვერ განაგებსო და სახელმწიფოს ვალს ადებსო; უნდა გასავალი შემოკლდეს, შეიკვეცესო, სადაც შეიძლებაო, რომ ვალი უფრო არ გაბევრდესო—ამის შესახებ «Русскія Вѣдомости»-ები საფუძვლიანათ ამბობენ:

> ბევრს ან არ ესმის, რაშია საქმე, ან განგებ აზვიადებენ ამ საქმეს. ნუ თუ ყოველთვის შემოსავალზე გადამეტებული გასავალი ვალად უნდა ჩაითვალოს? წარმოვიდგინოთ, რომ მოინდომა ვინმე ვალით სახლის აშენება; ვთქვათ, 100,000 მანათი დაეხარჯა. შეიძლება ეს ფული სამუდამოდ ვალად ჩაითვალოს, მინამ არ შევიტყობთ კარგად—მოგებას მისცემს პატრონს ეს შენობა, თუ არა. ხომ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ამ დახარჯულმა ფულმა წმინდა შემოსავალი შემოიტანოს 800 თუმანი; ეს თავნსაც გადასწყვეტს, სარგებელსაც. ცხადია, ამ შემთხვევაში, ვალის აღება პირ-და-პირ მოგებაშია და არა წაგებაში.—ცალკე კაცი კიდევ შეიძლება, სხვა-და-სხვა გარემოების გამო, ისეთს გასაჭირში ჩავარდეს, რომ თავნის სარგებელიც ვეღარ გადიხადოს და ვალი სამუდამოთ კისერზე დააწვეს; სახელმწიფო ამისთანა გაჭირობაში თავის-დღეში არ ჩავარდება, თუ ვალი საჭირო საქმეს მოანდომა: სახელმწიფოს ყოველი ღონისძიება აქვს, სარგებელი თავის დროზე გადიხადოს.

ჩვენ კიდევ უფრო ადვილად გასაგები მაგალითით ავხსნით ამ საგანს. ვთქვათ, მამულის პატრონს, რომლის მთელ წლიურს შემოსავალს სულ ასი თუმანი შეადგენს, ოცი თუმანი ვალი დეედო. თუ ვალი საქეიფოდ აუღია, ცხადია, საქმეები დაეხლართება და ვალიდამ თავის დღეში ვერ ამოვა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ ვალი აიღო, მამულში ჩაყარა და გააკეთა ასე, რომ მამულმა შემოსავალი მოიმატა ორ თუმნამდე. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ეს ოცი თუმანი ვალი კი არ არის, ნაღდი ფულია, რომელიც თითქო გაცემულია, სარგებელიც მაქვს და ვალსაც სწყვეტს. საქმე მხოლოდ იმაშია, კაცი როგორ გამოიყენებს ვალად აღებულს ფულს.

⁂

სოფელში მღვდელი ერთად-ერთი პირია, ცოტად თუ ბევრად განათლებული, რომელსაც ჭირსა თუ ლხინში მიჰმართავს ხოლმე გლეხი და მისგან რჩევას და ნუგეშს მოელის. რამდენად მეტს პატივს და სიყვარულს შეიძენდა მღვდელი, რომ მას სულიერი მწყემსობის გარდა, ხორციელი მფარველობა და შემწეობაც შეეძლოს.

> მოსანათლია თუ ვინმე სახლში, ან მელოგინეა, ან მძიმე ავად-მყოფი, ამბობს გაზეთი «Новости», ყველგან უნდა მღვდელი დაესწროს და რამე ნუგეში და რჩევა მისცეს. ყველამ იცის, რომ ხან სულ უბრალო ავადმყოფობა—სიკვდილის მიზეზად გახდება ხოლმე, მარტო იმის გამო, რომ ავად-მყოფს ყურის მგდებელი არავინა ჰყავს. ვის მიჰმართოს ამ გაჭირვებაში გლეხმა კაცმა, თუ არ მღვდელსა, მის სულიერ მამასა და ნუგეშისმცემელს. მაგრამ რა ქნას მღვდელმაც, რით უშველოს, როდესაც თითონაც ექიმობისა არა იცის-რა. დგას გულ-ხელ დაკრეფილი და გულ-მოწყვეტილი შეჰყურებს,—ან საწყალი გლეხი უპატრონობის გამო როგორ კვდება და ან იმედ მიწყვეტილი ელკარცლინება მკითხავებს და შემლოცველებს.

კარგი იქნებოდაო, ამბობს ხსენებული გაზეთი, ერობას (Земство) ეგისრნა და მღვდლებისთვის პატარა აფთიაქი საჭირო წამლებით მიეწვდინა, რომ პირველი შემწეობა მაინც შეეძლოთ მისცენ ღარიბ ხალხსა. ბევრი მღვდელი ეხლაც თვითონ ყიდულობს თავის ფულით წამლებს და ბევრსაც ჰშველისო უსასყიდლოთ, მაგრამ ეს ყველას ვერ მოეთხოვებაო.

ჩვენში ჯერ რადგანაც ერობა არის შემოღებული, კარგი იქნებოდა, რომ მთავრობას მიეგდო ყურადღება ამ ფრიად საჭირო საქმისთვის. ხარჯი დიდი არ მოუნდება, სარგებლობას კი ძალიან დიდს მოუტანდა, როგორც მღვდლებს, ისე ერსა.

⁂

«Церковный Вѣстникъ»-ი უფრო უკეთესს საშუალებას ურჩევს მთავრობას ამ საგნის შესახებ და თუ ეს ასრულდა, ხომ უფრო უკეთესი იქნება:

> სასურველი იქნებაო, ამბობს გაზეთი, რომ სემინარიებში და სასულიერო აკადემიებში ისევ შემოიღოთ ექიმობის შესწავლა, როგორც ძველად იყო. მარტო იმ მღვდელს, რომელმაც ცოტათი მაინც იცის ექიმობა, შეუძლიან სთქვას, რომ წმინდათ ასრულებს ქრისტეს ცნობასაო: «უძლურთა განკურნებდით, კეთროვანთა განწმენდდით».

ხულობდი, ვსწერდი, ელაპარაკობდი) არა აქვს მომავალი დრო, როგორც რუსულ ენაში. რუსმა, რომ გამოხატოს მომავალი დაუსრულებელი მოქმედება, უმატებს **буду**: **буду писать, буду читать** და სხვა. ქართულს ეს თვისება არა აქვს**). მომავალი დრო ქართულში აქვს მხოლოდ სრულის სახის ზმნას: დავისწავლე—წარსული, დავისწავლი—მომავალი.

წავიკითხე	წავიკითხავ
გადავწერე	გადავწერ

ამ მოსაზრებით აღჭურვილნი, რომ მივმართოთ ზემოდ აღნიშნულს საეჭო სახის ზმნებს, ჩვენ ვნახავთ, რომ მათ აქვთ მომავალი დრო და, მაშასადამე, იგინი არიან სრულის სახისანი.

	წარსული	მომავალი
	ვკითხე	ვკითხავ
	ვილაპარაკე	ვილაპარაკებ
	მივედი	მივალ
ხოლო	ვსწერე	ვსწერ

ამ უკანასკნელ ზმნაში, მომავალის დროის გამოსახატი ფორმა ჰგავს აწმყო დროის ფორმას, მაგრამ ეს არას ამტკიცებს და შეადგენს არა მარტო ჩვენის ენის თვისებას, არამედ სხვებისასაც, მაგალითებრ, ბერძნულისასაც, როგორც ამბობს ბ-ი ყიფიანი.

ჩვენის ფიქრით, ქართულის ზმნის უღვლილება (спряженіе) არ არის ისეთი რთული, როგორც წარმოუდგენიათ და გაუზვიადებიათ ჩვენს გრამმატიკოსებს. საჭიროა მხოლოდ, ვიდრე ზმნას დავაუღვლილებდეთ, გავიგოთ რომელი სახისაა იგი, სრულისა თუ უსრულისა. ავიღოთ, მაგალითად, ზმნა «ვკითხულობ», ამ ზმნას აქვს აწმყო დრო, მაშასადამე, იგი არის უსრული სახის ზმნა, რადგან სრული სახის ზმნებს აწმყო დრო არა აქვთ. წავიკითხავ, მაგალითებრ, აწმყო დროში არ იხმარების.

აწმყო დრო	წარსული დრო
1. ვკითხულობ	ვკითხულობდი
2. ჰკითხულობ	ჰკითხულობდი
3. კითხულობს	კითხულობდა

მომავალი დრო ამ ზმნას, როგორც უსრულის სახისას, არა აქვს. გარდა აქ მოყვანილისა, წარსულს დროში არაფითარი სხვა ფორმა აღარა აქვს. აქ ვერ დავუმატებთ ფორმას ვიკითხე, (როგორც უმატებენ ყველა გრამმატიკოსები), რადგან იგი არის, თუმცა ერთი ძირიდამ წარმომდგარი, ვითარცა ზმნა ვკითხულობდი (училъ და выучилъ), მაგრამ სრულიად სხვა აზრისა და სხვა სახისაა, ვერ დავუმატებთ აგრეთვე: წამიკითხია, წავიკითხე, გადავიკითხე, გადმოვიკითხე, მოვიკითხე და სხვ., რადგან ეს სრულიად სხვა ზმნები არიან და მათ თავიანთი საკუთარი უღვლილება აქვთ. აი მხოლოდ ეს ორი სვეტი შეადგენს სრულს ცვლილებას, მთელს უღვლილებას ზმნისას «ვკითხულობ» და ჩვენი გრამმატიკოსებიკი მთელს ათ ფურცელს, (როგორც მაგ., ბ-ი ყიფიანი) ამსებენ ამავე ზმნის უღვლილებით, ისე აძნელებენ საქმეს, რომ ერთი შეხედვა მათის დაუსრულებელის სქემისა თავ-ზარსა გცემთ და სასოწარკვეთილებაში გაგდებთ. რათ ხდება ასე? იმიტომ, რომ იგინი არ არჩევენ ზმნას, თუმცა ერთ-ძიროვანებს, მაგრამ სულ სხვა-და-სხვა აზრისანებსკი, ისინი იმ ჩვენს ორს სვეტს, ათას კიდევ სხვას დაუმატებდნენ, თუნდ ამ გვარებს:

აწმყო დრო	წარსული დრო
გაკითხებ მაკითხებ	გაკითხებდი მაკითხებდა
გაკითხებს აკითხებ	გაკითხებდა აკითხებდი

და სხვა მრავალს ამისთანებს, მაგრამ ეს ზმნები განირჩევიან ჩვენის ზმნისაგან «ვკითხულობ» და მათ აქვთ თავიანთი საკუთარი უღლვილება.

ახლა ავიღოთ სრული სახის ზმნა «ვიკითხე». ამას აწმყო დრო არა აქვს, როგორც სრულის სახის ზმნას.

წარსული დრო	უსრულესი სახე
ვიკითხე	მიკითხია
იკითხე	გიკითხია
იკითხა	უკითხია

მომავალი დრო
ვიკითხავ
იკითხავ
იკითხავს

უსრულესი სახე წარმოსდგება და თითქმის უდრის სრულს სახეს:

სრ. სახე	უსრულესი სახე
წავიკითხე	წამიკითხია
დავწერე	დამიწერია
ვიმღერე	მიმღერია

განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ზმნა უსრულესის სახის ფორმით აღნიშნავს მოქმედებას უფრო წინად, ადრე შესრულებულს, ვიდრე სრული სახისა.

ყოველს სრულის სახის ზმნას აქვს მხოლოდ აი ეს სამი სვეტი ცვლილება და არა მეტი. ასეთი ცვლილება მოსდევს ყოველს ზმნას საზღვრებითს დახრაში. ბრძანებითს და სათუვო დახრაში ეს წესი თითქმის არ იცვლება, მაგრამ ჩვენ აქ ამაზედ ლაპარაკი არა გვსურს.

—

ყოველსავე აქ გამოთქმულს მოსაზრებას წარვუდგენ მკითხველს, რათა განსაჯოს, რამდენად შეუმუშავებელია ჩვენის ენის ეთიმოლოგია. რაც შეეხება სინტაქსისს—ნუღარც-კი იკითხავთ. ყველა ჩვენი გრამმატიკოსები რომ ზედ-მიწევნით შეისწავლოთ, მის მეტს ვერას გაიგებთ, რომ არის წინადადება მარტივი და რთული. მაგრამ ესეც-კია საფიქრებელი, რომ ჩვენ რა, რომ ჩვენი გრამმატიკა ასეთს უნუგეშო მდგომარეობაშია! ვაი იმათ, ვისაც წილად ჰრგებია გრამმატიკის სწავლება, ვაი იმ ოსტატებს და მოწაფეთ, რომელნიც პროგრამმის ძალით იძულებულნი არიან ამ ბნელაში, გამოიკვლიონ ის, რაც ჯერ არ არის გამოკვლეული, შეიგნონ სახელმძღვანელოებიდამ ის, რაც თვით შემადგენლებს ვერ შეუგნიათ.

დასასრულ, იმ ანდაზისა არ იყოს, რომ «ჯოჯოხეთს ერთი მეგუზალი აკლდა და ისიც მიუმატესო», ჩვენც ვაპირობთ ამ მოკლე ხანში გრამმატიკის დაბეჭდვას და მით, თუ ცოტათი მაინც ვერ შევამსუბუქეთ ქართულის ენის გრამმატის შესწავლის საქმე, ერთის ნაღვაწით მაინც ხომ მეტი იქნება და მით იქნება სხვას მაინც გაუადვილდეს საქმე.

მიხეილ ნასიძე

) თუმცა კი არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ჩვენი ახალი მწერლები, ალბად, რუსულის ენის ზედ-გავლენით, ხმარობენ ასეთს ფორმას: «ჩიტმა დაიწყო მღერა, გიგლამ დაიწყო წერა»—რ. ერისთავი. «ფშვინვა დაიწყეს ყვავილთა და ბაღში ფოთოლთ შრიალი»—გრ. ორბელიანი. უეჭველია, მალე ამასაც ვიტყვით: დავიწყებ წერას, დავიწყებ კითხვას, დავიწყებ ფშვინვას და გამოვა სრული რუსული: **начну писать, начну читать და სხვა. ისე ვართ მიჩვეული რუსულს, რომ ბევრის ქართველის ყურს ასეთი ფორმა არც-კი ეხამუშება. ავტ.

«ივერიის» ფოსტა.

ქ. ბ—მს ა. მ—ძეს. ვიდრე ჩვენი ბათუმელი აგენტი არ გვირჩევს, თქვენს თხოვნას ვერ შევასრულებთ.

ქ. ქ—სს. კ. გ—ძეს. თქვენისთანა მოსწავლეთა ჯერ სწავლას ვურჩევთ და მერე წერას. მწერალი მასწავლებელი უნდა იყოს სხვისა და ვინც, თქვენსავით, ჯერ თითონა სწავლობს, სხვას ვერას ასწავლის ოღონდ ეხლა ისწავლეთ, წერას მერეც მოესწრობით.

ივ. ხ—ლს. თქვენი წერილი, ენის შესახებ, დიდად საყურადღებოა. თავის დროზედ, თქვენს რჩევას და შენიშვნას დიდის მადლობით გამოვიყენებთ. ამ საგანზე, ესე იგი ჩვენგან ხმარებულის ფორმების შესახებ, უსათუოდ ბევრი სხვა შენიშვნებიც მოგვივა. ერთად თავს მოუყრით და შემნიშვნელებს საერთო ანგარიშს მიცემთ.

ქ. ახალ-ციხეს. მღვდ. ჯ—ევს. ჩვენ გიგზავნით ნომრებს ფოსტით და ჩვენც არ ვიცით, რა მიზეზია, რომ არ მოგდით. მანდაურს ფოსტაში იკითხეთ, პასუხი გვაცნობეთ და ჩვენც აქაურს ფოსტაში გამოვიძიებთ. მაინც-და-მაინც ნომრებს არ დაგაკლებთ ამ პირველ შემთხვევაში.

ქ. გ—რ ს. ნ. ბ—ლს. ჩვენ თქვენზე ნაკლებ არა ვსწუხდით ნომრების დაგვიანებისათვის. მიზეზი რატომ არ გამოაცხადეთო? თევზის ამბავი ხომ გაგიგონიათ... ეგეც უმიზეზო მიზეზი. სხვას, რასაც ითხოვთ, შევასრულებთ. თქვენი ღვაწლი ჩვენდამი გულში ჩავიჭდიეთ. მადლობელი ვართ.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ **1886** წელიწადია· ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14.

ამისი ქორონიკონი— ჳოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა—23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ დღიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

იანვარი 31 დღით არის.

21 დღე სამშაბათი. ღირ. მაქსიმე აღმსარებლისა, მოწ. ნეოფიტესი. სომეხ. წმ. კვირიაკე, დედისა მის იულიატასი, წმ. მოწ. გორდი და სხვ. კათ. აგნესასი, ევგენია და ერნესტისა. მაჰმადიანთა: 28 დღე რები-ულახირისა 1303 ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა დღე 12—13—58. ტფილისში მზე ამოდის 7—12; ჩადის 5—16. მთვარე ამოდის 6—43; ჩადის 4—45.

22 დღე ოთხშაბათი. წმ. ტიმოთე მოციქულისა, მოწ. ანასტასია. სომეხ. მარხვა კათ. ვიკენტისა და ანასტაზისი. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—5. ტფილისში ამოდის 7—11, ჩადის 5—17. მთვარე ამოდის 7—1; ჩადის 5—13.

23 დღე ხუთშაბათი. წმ. მოწ. კლიმენტი ეპისკოპ. ანკირელ. სომეხ. ვაჰან გოღნელ; ევგენია ქალწ. და სხვ. მაჰმად. 1 დღე თთვისა ჯემად-ულ-ევვლისა, 1303 ჰიჯრისა. 6 საათზე 15 წუთზე ახალი მთვარე დგება ტფილისისათვის. ჭეშმარიტი შუა დღე 12—14—10. ტფილისში მზე ამოდის 7—10; ჩადის 5—19. მთვარე ამოდის 7—18; ჩადის 5—40.

24 დღე პარასკევი. ღირსისა დედისა ქსენიისი, წმ. მოწ. ბაბილასი. კათ. ტიმოთე ეპისკ. და იაროსლავისა, ჭეშმარიტი შუადღე 12—14—15. ტფილისში მზე ამოდის 7—9; ჩადის 5—20. მთვარე ამოდის 7—43; ჩადის 6—28 ნღ.

25 დღე შაბათი. წმ. გიორგი ღვთისმეტყველისა; სომეხ. წმ. აიანასი, კირილე მამა-მთავრისა. კათოლ. პავლესი, ანანასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14—19. ტფილისში მზე ამოდის 7—8, ჩადის 5—21. მთვარე ამოდის 8—16; ჩადის 7—30 ნ.-ღ.

26 დღე კვირა. ღირსი ქსენოფონტი; დავით III აღმაშენებელი, მეფე ქართლისა 1089—1155. კათოლ. პოლიკარპ. ეპისკ. და პავლინისა. ჭეშმარიტი შუა დღე 12—14—23. ტფილისში მზე ამოდის 7—7; ჩადის 5—23. მთვარე ამოდის 8—47; ჩადის 8—27 ნ.ღ.

27 დღე ორშაბათი. აღმოყვანება ნაწილთა წმ. მამისა იოანე ოქროპირისა; სომ. ევგენ, მაკარ და სხვ. კათოლიკ. იოანე ოქროპ. და დაციასი. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—25. ტფილისში მზე ამოდის 7—6; ჩადის 5—24. მთვარე ამოდის 9—19; ჩაჩადის 9—27 ნღ.

* * *

გამოსადეგი ცნობანი.

მაზანდა.

1 იანვრიდამ 1-ლ თებერვლამდე.

რუსეთის ფქვილისაგან გამომცხვარი პური 1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხისა.	$2\frac{1}{4}$ ›
› › 2 ›	2 ›
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა	$4\frac{1}{2}$ ›
მე-2 ხარისხისა	$3\frac{1}{2}$ ›
მე-3 —	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 ›
2 —	7 ›
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 ›
ცხვრის ხორცი	7 ›
ღორის ხორცი 1-ლის ხარისხ.	5 ›
2-ის ხარისხ.	4 ›

* * *

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. ღ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. ,, — ,, ღ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. ღ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. ღ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 - ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შევლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

ბ. ლიაძის
მოსამზადებელი სასწავლებელი
პანსიონითურთ.
ქუთაისი, ანდრეევის ქუჩა № 13.
(10—8)

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ
„КАВКАЗЪ“
на 1886 годъ (41 годъ изданія).

Въ 1886 году газета «КАВКАЗЪ» будетъ выходить по прежней программѣ и подъ прежнею редакціею ежедневно не исключая и понедѣльниковъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА·
съ достакою въ тифлисѣ:
На годъ . . . 11 р. 50 к.
› полгода . . . 6 р. — ›
› 3 мѣсяца . . 3 р. 50 к.
› 1 мѣсяцъ. . . 1 р. 50 к
съ пересылкою

по имперіи	по почтовому союзу
13 р.	18 р. 40 к.
7 р.	10 р. — ›
4 р.	6 р. — ›
1 р. 75 к.	2 р. — ›

подписка принимается исключительно въ Конторѣ редакціи. Тифлисъ, уголъ Головинскаго проспекта и Барятинской улицы, домъ Ротинова. Для иногор. адресовать: *Тифлисъ. Въ Редакцію газеты «КАВКАЗЪ».*

გრ. ჩარკვიანის
ქართული წიგნის მაღაზიაში
ისყიდება
ყოველგვარი ქართული წიგნები
ტფილისში: ლოლის - მელიქოვის ქუჩაზედ ზუბალოვის სახლებში
გარეშე პირთათვის ადრესი: Тифлисъ· Книжный магазинъ Григорія Чарквіани· 3—3

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на 1886 годъ
НА ГАЗЕТУ
„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“
(III ГОДЪ ИЗДАНІЯ).
выходитъ ежедневно, не исключая и понедѣльниковъ.

Газета въ 1886 году будетъ выходить подъ прежней редакціей по прежней программѣ, при участіи тѣхъ-же сотрудниковъ·

подписная цѣна съ доставкой и пересылкой:

На 12 мѣсяцевъ	10 р· —к·	На 6 мѣсяцевъ	6 р· —к·
» 11 »	9 » 50 »	« 5 »	5 » 25 »
» 10 »	8 » 75 »	« 4 »	4 » 75 »
» 9 »	8 » — »	« 3 »	3 » 50 »
» 8 »	7 » 25 »	« 2 »	2 » 75 »
» 7 »	6 » 50 »	« 1 »	1 » 50 »

За границу на годъ 17 руб·, на полгода 9 руб· 50 коп·

За перемѣну адресовъ уплачивается: иногороднаго на иногородный—40 к., городского на иногородный—1 руб·

Подписка принимается не иначе, какъ съ перваго числа каждаго мѣсяца·

Подписка и объявленія; на всѣхъ языкахъ, принимаются въ Тифлисѣ – въ конторѣ редакціи, при газетномъ агентствѣ Шавердова; въ Петербургѣ—въ книжномъ магазинѣ „Новаго Времени“· Иногородные адресуютъ свои требованія въ г. Тифлисъ, въ контору редакціи „Новаго Обозрѣнія“, при агентствѣ Шавердова.

Статьи и корреспонденціи адресуются въ Тифлисъ, въ редакцію «Новаго Обозрѣнія». Принятыя статьи могутъ подлежать сокращеніямъ и поправкамъ. Мелкія рукописи, размѣромъ не болѣе двухъ писанныхъ листовъ, не возвращаются· Прочія возвращаются по личнымъ требованіямъ авторовъ и сохраняются только въ теченіе одного мѣсяца· Ни въ какую переписку по поводу напечатанія или ненапечатанія присланныхъ статей редакція не входитъ· статьи, доставленныя безъ опредѣленныхъ условіи гонорара принимаются какъ безплатныя· Редакція открыта для личныхъ, объясненій отъ часу до двухъ по полудни·

(9—4)

საპოლიტიკო და სალიტერატურო
გაზეთი

„ივერია“

1886 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თთვით	10 მ. — კ.	6 თთვით	6 მ. — კ.
11 »	9 » 50	5 »	5 » 25 „
10 »	8 » 75 »	4 »	4 » 75 „
9 »	8 » — »	3 »	3 » 50 „
8 »	7 » 25 »	2 »	2 » 75 „
7 »	6 » 50 »	1 »	1 » 50 „

სამზღვარ-გარედ დაბარებული ღირება—17 მან. მთელის წლით.

სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მანათად.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты «ИВЕРІЯ.»

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში — ერთი მანათი.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება.

განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში, შავერდოვის საგაზეთოში, ცენტრალურს და მრიქუროვის წიგნების მაღაზიებში.

ფასი განცხადების დაბეჭდისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს. პირ-და-პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქმნება ყოველ-დღე პირველ საათიდამ სამს საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

Дозволено цензурою Тифлисъ 23 января 1886 года
ბეჭდება ი. ხელაძის სტამბა საპერნის ქუჩაზე, საკუთარ სახლებში.
რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.